

საქართველოს კანონი

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონის („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I ნაწილი №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) მე-2 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II

პარლამენტის წევრის ქონებრივი

მდგომარეობის დეკლარაცია

მუხლი 9. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, დეკლარაციის შინაარსი

1. პარლამენტის წევრი ვალდებულია კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

2. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს პარლამენტის წევრისა და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი და ფინანსური რესურსების ამსახველ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას გასული კალენდარული წლის განმავლობაში.

3. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციიდან გამომდინარე შედეგები შეიძლება განიხილოს პარლამენტმა კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

1. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობა უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდში დაგროვილი დეკლარაციის შემდგომი შენახვის ან განადგურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი შესაბამისი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასულიდან ხუთი წლის შემდეგ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი